ძველ მეტოქეთა მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 1 აპრილი.

“დინამო” (მოსკოვი): იაშინი, როდიონოვი, კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, ფედოსოვი, სოკოლოვი, შაბროვი, მამიკინი, ი. კუზნეცოვი, ილინი, რიჟკინი.

“დინამო” (თბილისი): პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, გაგნიძე, კალოევი, ზაზროევი, ხასაია.

მსაჯი: ე. კლავსი (რიგა).

საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ დღეს თბილისში შესანიშნავი ამინდი იყო. ზომიერად თბილოდა, მინდორი ჩინებულ მდგომარეობაში იყო.

ალმის ტრადიციულ აღმართვას წინ უძღოდა ფეხბურთელთა პარადი. ჭაბუკ ფეხბურთელებს მოჰქონდათ დროშა, მათ მიჰყვებოდნენ სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონი მოსკოვის “დინამო” და მასპინძლები – თბილისის “დინამო”.

ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ბოჭორიძემ. გუნდების კაპიტნებმა ლ. იაშინმა და ა. ღოღობერიძემ აღმართეს პირველობის დროშა.

პირველი დარტყმა შეასრულა ი. კუზნეცოვმა. სტუმრები მარცხენა ფრთიდან წამოვიდნენ შეტევაზე, მაგრამ კოტრიკაძემ მოასწრო და ბურთი პირაევს გადააწოდა. წუთის შემდეგ კოტრიკაძე უკვე მოწინააღმდეგის ნახევარზე იყო და მათ კარში ურტყამდა ბურთს, რომელიც საიმედოდ აღმოჩნდა იაშინის ხელში.

ნელი თამაში მოსკოველთათვის უფრო ხელსაყრელი იყო, ამიტომ მასპინძლები შეეცადნენ ტემპი “მაღალ სიჩქარეში” ჩაეგდოთ. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი ითამაშა კოტრიკაძემ, რომელიც თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა დაცვაში, ყოველ აუცილებელ შემთხვევაში ერთვოდა თავდასხმას და შეტევისათვის სწრაფად გადაჰყავდა ბურთი წინ. რამდენიმეჯერ გაიჭრნენ კარისკენ გაგნიძე, კალოევი, ზაზროევი. მეტად სახიფათო იყო ჭკუასელის გარღვევა ღოღობერიძის გადაცემის შემდეგ. მაგრამ მოედანზე მას დაეწია სოკოლოვი და ძლივს მოასწრო ბურთის აცლა. ორი მეტად ძნელი ბურთი აიღო იაშინმა ჭკუასელისა და ზაზროევისაგან.

ათიოდე წუთის მანძილზე ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ მარცხენა ფრთაზე ხასაია ჩამორჩებოდა შეტევას, ხოლო ღოღობერიძემ რამდენიმეჯერ ზედმეტად ატარა და დაკარგა ბურთი. შეტევაზე კვლავ მოსკოველები გადმოვიდნენ. ერთი თავდამსხმელი (ჩვეულებრივ, ი. კუზნეცოვი) მათ ყოველთვის ჰყავდათ თავისუფალი მარჯვენა ფლანგზე, რომელიც სისტემატურად ღებულობდა ბურთს საბოლოო გადაცემისათვის კარის ზონაში, სადაც მისი პარტნიორები გაშლილი ფრონტით შედიოდნენ მარცხენა ფრთიდან. სტუმრების იერიშებს მეტი ეფექტი ექნებოდა, რომ მათ მარცხენა ფრთაზე არ არეოდათ თამაში: ილინმა და რიჟკინმა აშკარად ვერ გაუგეს ერთმანეთს და რიჟკინის ამოცანას, გვერდით ხაზთან გაეყვანა ელოშვილი, ბევრი არაფერი მიუცია გუნდისათვის. ელოშვილმა საფუძვლიანად დაკეტა მარცხენა გარემარბი და თავის პარტნიორებსაც დიდ დახმარებას უწევდა ურთიერთ დაზღვევაში.

მეორე მცველმა ხოჭოლავამ კარგად გაითვალისწინა შარშანდელი გაკვეთილი, როცა შაბროვმა მარჯვენა ფართზე შექმნა თამაში. მას ყოველთვის ყურადღების ცენტრში ჰყავდა თავისი “ქვეშეფი” და გასაქანს არ აძლევდა მას. ცენტრში სრული ყურადღებით მოქმედებდა ძიაპშპა. ამის შედეგად სტუმრების თავდასხმას წინ აღუდგა საკმაოდ მტკიცე კედელი, რომლის გარღვევა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა.

პირველ ტაიმს შედეგი არ მოჰყოლია და ორივე გუნდი “მშრალად” წავიდა შესვენებაზე.

სულ რამდენიმე წუთი იყო გასული მეორე ტაიმის დაწყებიდან, როცა ძიაპშპამ ჯარიმა მიიღო. სტუმრებმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი კარის წინ ჩააწოდეს, სადაც წამით უმეთვალყუროდ დარჩა მამიკინი. დარტყმა. გოლი. 1:0.

ამ მარცხის შემდეგ ხუთიოდე წუთის მანძილზე დომინირებდნენ სტუმრები. თბილისელებს თითქოს აერიათ თამაში, მარამ გუნდმა შეძლო თავისი ძალების მობილიზება, არ დაკარგა რწმენა გამარჯვებისადმი და განახლებული ენერგიით შეუტია. ღოღობერიძე უკვე აღარ აჩერებდა ბურთს, მიღებისთანავე ანაწილებდა მას თავდამსხმელებს შორის და უშუალო მონაწილეობას ღებულობდა შეტევაში. სრული ძალით ამოქმედდა ხასაიაც.

სურათი მთლიანად შეიცვალა. თბილისელები 6–7 კაცის შემადგენლობით უტევდნენ მოწინააღმდეგეს, რომლის დაცვა ხშირად იძულებული იყო მიჯაჭვული ყოფილიყო კართან. ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა მოსკოველთა კარის ბედი, თბილისელებს ყოველი მხრიდან შევიწროებული ჰყავდათ ისინი, შეტევა შეტევას მოსდევდა, ბურთი გამუდმებით ტრიალებდა მეკარის მოედანზე, მაგრამ გოლი არ ჩანდა. გაგნიძე და ღოღობერიძე ორჯერ გავიდნენ ზედ ხაზთან და კარგად ჩააწოდეს კარის წინ, მაგრამ იქ არავინ არ აღმოჩნდა. ასევე უსარგებლოდ დამთავრდა ხასაიას, გაგნიძის, კალოევის გარღვევები, მიზანს აცდა ჭკუასელის უძლიერესი დარტყმა.

მე–17 წუთზე ზაზროევმა მაღალი გადაცემა მიიღო მოედნის სიღრმიდან. იგი გავიდა მცველებს შორის, მიუახლოვდა კარს და დაბალ კუთხეში დაარტყა. იაშინმა ვერ მოასწრო ბურთის აღება, რომელიც მოხვდა ძელს და დაუბრუნდა თავდამსხმელს. ზაზროევმა ზუსტი თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

მოსკოველები ყოველი საშუალებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ თბილისელთა შტურმი. ისინი ხაზს გარეთ აგზავნიდნენ ბურთს, აჭიანურებდნენ დროს, სახიფათო მომენტებში ისეთ უკიდურეს ზომებსაც მიმართავდნენ, როგორც თავდამსხმელის ხელით დაჭერაა, მაგრამ მასპინძელთა შეჩერება შეუძლებელი იყო. მათ ყველაფერი ჰქონდათ – სისწრაფე, შეუჩერებელი კომბინაციები, სიზუსტე, ენერგია, მონდომება. აკლდათ მხოლოდ ერთი – გოლის გატანის უნარი. რამდენჯერმე იყო მომენტი, როცა ბურთს გოლის იქით გზა არ ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მაინც ჩნდებოდა “რომელიღაც” გზა და ბურთი ან მიზანს ცდებოდა, ან იაშინი და მცველები იგერიებდნენ მას.

გონგის შემდეგ მოსკოველებმა შორიდან მიაწოდეს ბურთი ინინს, რომელიც ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა კარის წინ. პირაევი მას გაბედულად ჩაუხტა ფეხებში და აიღო ბურთი.

საინტერესო, დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

ამავე გუნდის დუბლიორთა შეხვედრა, რომელიც რუსთავში გაიმართა დამთავრდა აგრეთვე ფრედ – 3:3.

რ. ქორიძე
“ლელო”, 1 აპრილი, 1956 წ.